პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 31 აგვისტო № 203 (16943) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის შესრულება

31 აგვისტოს საკავშირო რადიოთი და ცენტრალური ტელევიზიით პირველად აღ-ერდება საბჭოთა სოციალისტური რესპუ-ბლიკების კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, რომლის ტექსტი და მუსიკალური რედაქ-ცია 1977 წლის 27 მაისს დამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

სსრ კავშირის დიდი თეატრის გუნდისა და ორკესტრის შესრულებით ჰიმნი გადაი-ცემა რადიოს პირველი პროგრამით 19 სა-ათზე მოსკოვის დროით, ხოლო 21 საათზე იგი აღ[illegible]ა–სატელევიზიო პროგრამა „ვრემია“.

სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის სავ-ელთაო შესრულება დაიწყება 1 სექტემბ-რიდან. იგი გადაიცემა საკავშირო რადიოს პირველი პროგრამით გუნდისა და ორკეს-ტრის შესრულებით დილის 6 საათზე. 24 საათზე საბჭოთა კავშირის ჰიმნი აღერდე-ბა რადიოთი ორკესტრის შესრულებით.

საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ გამოუშ-ვა ფირფიტა, რომელზეც ჩაწერილია სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. (საკდესის)

იყავით დიადი სოციალისტური ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

მოსწავლეებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის, პედაგოგების, აღმზრდელების, დამრიგებლების, პროფესორების, მასწავლებლებისა და მშობლებისადმი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების მოსწავლეებსა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, პედაგოგებს, აღმზრდელებს, დამრიგებლებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მშობლებს ახალი 1977-1978 სასწავლო წლის დადგომას.

ახლანდელი სასწავლო წელი განსაკუთ-რებით ღირსშესანიშნავია. იგი იწყება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წინ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რე-ვოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი საყოველთაო-სახალხო ზეიმის წინ.

საქართველოს სსრ მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელი, იწონებენ მოგზეგზული სოცი-ალიზმის ქვეყნის კონსტიტუციის პროექტს, ემზადებიან ოქტომბრის სახელოვანი იუბი-ლესათვის და სახავენ რესპუბლიკის ეკონო-მიკისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, სოციალურ-კულტურული გა-ნვითარების ახალ მიჯნებს. რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომის, რესპუბლიკური პარტიული ორგა-ნიზაციის მიზანდასახული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მეოხებით სა-ქართველოს სს რესპუბლიკამ მეათე ხუთ-წლედის პირველ წელს შესანიშნავ წარმატ-ებებს მიაღწია სკკპ XXV ყრილობის და-ვალებათა შესრულებაში და ზედიზედ მე-ოთხედ მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომი-ტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად სა-კავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. საქართველოს სსრ მშრომელების, მისი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შედეგები დიდად შეაფასეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, პოლიტბიურომ, მისმა მეთაურმა — გამო-ჩენილმა ლენინელმა, ქვეყნად ყველა ადა-მიანის ბედნიერებისათვის მებრძოლმა ლე-ონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, რაც ახალი და-დი საქმეებისათვის, სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული დიდებული ამოცანების შესასრულებლად დაუცხრომელი შრომისა-თვის მოგვიწოდებს.

არსებითი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მოხდა სახალხო განათლე-ბის დარგშიც. ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სისტემის მუშაობაში. კომუნისტური პარ-ტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის შედეგად რესპუბლიკაში ძირითადად დამ-თავრდა საყოველთაო-საშუალო განათლე-ბაზე გადასვლა, ყოველწლიურად ფართოვ-დება და მტკიცდება ჩვენი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბა-ზა, აღზრდისა და სწავლის პროცესი ხულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ცხოვრებას, ჰქმნიან ამოცანებს, რომლებსაც რეს-პუბლიკის პარტიული ორგანიზაცია საჭარ-თველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-ტეტის ხელმძღვანელობით წყვეტს. ამაღლ-და მოსწავლეთა და სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ინტერნაციონა-ლური, პატრიოტული და შრომითი აღზრ-დის, მათი ჰარმონიული განვითარების დო-ნე, ახალგაზრდობა უკეთ და ღრმად ეუფ-ლება ცოდნას და ბეჯითად სწავლობს მეცნ-იერების საფუძვლებს, უწინარეს ყოვლისა კი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიე-რებას — მარქსისტულ-ლენინურ მოძღვ-რებას, სწვდება ბუნების საიდუმლოებებს, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს, აქტიურად შრომობს სამშენებ-ლო მოედნებზე, ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეო-ბებში და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთო-სახალხო საქმეში.

ამ სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებ-ლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა, უმაღ-ლესი სასწავლებლების სტუდენტებმა, როცა პირველი ზარის შემდეგ მერ-ხებსა და ლაბორატორიის მაგიდებს მი-უსხდებიან, არც ერთი დღე, არც ერთი სა-ათი, არც ერთი წუთი არ უნდა დაკარგონ, რადგან დაკარგული დროის ანაზღაურება შეუძლებელია, უნდა ისწავლონ უფრო თავდადებით, უფრო გულმოდგინედ და ბე-ჯითად, ვიდრე წინა წლებში. თქვენ ხომ ახა-ლი დიდებული პერსპექტივები გადაეშა-ლთ სკკპ XXV ყრილობამ, სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ, რომელიც სსრ კავ-შირის ყველა მოქალაქეს უმკვიდრებს გა-ნათლების უფლებას. ამ უფლებას უზრუნ-ველყოფს ყველა სახეობის უფასო განათ-ლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-საშუა-ლო განათლების განხორციელება, სასკოლო სახელმძღვანელოების უფასო გაცემა; კონს-ტიტუციით უზრუნველყოფილია აგრეთვე შრომის, პროფესიის არჩევის უფლება.

ამ კონსტიტუციური უფლებების გონივ-რული გამოყენებისათვის, რაც მხოლოდ განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის მო-ქალაქეებს აქვთ უზრუნველყოფილი, მო-ნაცემთა და სულიერი მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილებისათვის, ზოგადსა-განმანათლებელო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუ-მების მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ საზო-გადოებრივი, შუამავლურული, საბუნების-მეტყველო და ტექნიკური დისციპლინე-ბის საფუძვლების მტკიცე და საიმედო ცო-ნდნა. მხოლოდ ეს მოგცემთ შესაძლებლობას დაუბრკოლებლად დაადგეთ შრომითი ცხო-ვრების გზას, რომელსაც ახლანდელი მეცნ-იერულ-ტექნიკური რევოლუციისა და მეცნ-იერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში შრომის სულ უფრო მეტი ინტელექტუალი-ზაცია ახასიათებს.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტე-ბი მუყაითად უნდა დაეუფლონ საზოგადო-ებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა საფუძვლებს. აუდიტორიებ-ში, ლაბორატორიებში, საწარმოო პრაქტი-კის დროს ჩასწვდნენ თანამედროვე ტექნ-იკისა და ტექნოლოგიური პროცესების მთელ სიღრმეს, შეისწავლონ კოლექტივებში ადა-მიანთა ურთიერთობის მეცნიერული საფუძ-ვლები, განავითარონ ორგანიზატორული მუ-შაობის ჩვევები, პროფესორ-მასწავლებ-ლებთან ერთად მიიღონ მონაწილეობა მეცნ-იერულ კვლევაში და ამით გამოიმუშავონ ხამეარობა, საინტერესო და დიდმნიშვნელო-ვანი ამოცანების დამოუკიდებელი გადაწყ-ვეტის უნარი. ყოველივე ეს იმისათვის დაგვჭირდებათ, რომ კარგი ხელმძღვანელები და ორგანიზატორები იყოთ დიდსა თუ პა-ტარა კოლექტივებში.

მაგრამ იმისათვის, რომ დიადი სოცია-ლისტური ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, ურყევი მარქსისტ-ლენინელი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი იყო, უსაზღვროდ გიყვარდეს შენი სამშობლო და შენი ხალხი, მამულის ერთგული, თანამიმდევრული და მამაცი დამცველი, კომუნისტური იდეალე-ბისათვის აქტიური მებრძოლი, „მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამტარებელი იყო, ღრმად უნდა ჩასწვდე და ურყევ მრწამსად გაიხადო ცხოველმყოფელი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დებულებები, აქ-ტიურად უნდა იბრძოდე ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის წინააღმდეგ.

ამისათვის ჩვენმა სახელოვანმა ახალგაზ-რდობამ — სკოლების, პროფესიულ-ტექნ-იკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებმა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა პროგრამის მოთხოვნების შე-საბამისად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მარქსიზმ-ლენინიზმის, საბ-ჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამინაო და საგა-რეო პოლიტიკის, სკკპ XXV ყრილობის მა-სალების, ჩვენი ქვეყნის ხალხთა რევოლუ-ციური, საბრძოლო და შრომითი გმირობის ისტორიის, კომუნისტური პარტიის გამოჩე-ნილ მოღვაწეთა ნაწარმოებების ღრმა შეს-წავლას, შეასრულონ კომუნისტური პარტი-ისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებ-ლის, ოქტომბრის რევოლუციისა და მსოფ-ლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლა-დიმერ ილიას ძე ლენინის ანდერძი.

დაე ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახე, მისი საქმეები და მთელი მისი ხიცოცხლე, რომელიც მან ბოლომდე მოახმარა ხალხს, მუდამ იყოს თქვენთვის, ჩვენო გოგონებო და ბიჭუნებო, ქალიშვილებო და ჭაბუკებო, გზის მანათობელი ვარსკვლავი!

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას მომდინარე სასწავლო წელს ზოგადსაგანმა-ნათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნ-იკური და ტექნიკური სასწავლებლების, სა-შუალო სპეციალური სასწავლებლების პე-დაგოგების, ახალგაზრდობის აღმზრდელე-ბისა და დამრიგებლების, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მა-სწავლებელთა წინაშე. თქვენზეა დამოკიდ-ებული, ძვირფასო ამხანაგებო, კომუნისტუ-რი საზოგადოების ყოველმხრივ განათლე-ბული და იდეურად გამოწრთობილი მოქა-ლაქეების მომზადება. უნდა მიაღწიოთ, რომ თითოეულ მოსწავლეს, სტუდენტს ცოდნა, კომუნისტური იდეურობა და მრწამსი შე-რწყმული ჰქონდეს პრაქტიკულ საქმეებთან, აღზარდოთ მოსწავლე ახალგაზრდობა კო-მუნისტური ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარე-ობის, მაღალი პატრიოტიზმისა და ინტერ-ნაციონალიზმის იდეების სულისკვეთებით, ჩაუნერგოთ თქვენს აღსაზრდელებს პასუ-ხისმგებლობის გრძნობა დაკისრებული საქ-მისათვის, ჩინებული სასწავლისა და ზნეობ-რივი სიწმინდისათვის, მაღალი შეგნებული დისციპლინისათვის, მოამზადოთ ახალგაზ-რდობა საზოგადოების სახარგებლო აქტიუ-რი შრომისათვის, ჩამოუყალიბოთ მათ, განს-აკუთრებით სკოლის მოსწავლეებს, სწორი დამოკიდებულება შრომისადმი, შრომის შედეგებისადმი, მატიანეცმა მშრომელი ადამიანებისადმი, ასწავლოთ მათ დამოუკი-დებლად შეივსონ ცოდნა, გაერკვნენ მეცნი-ერული და პოლიტიკური ინფორმაციის მო-ზღვავებულ ნაკადში, აპოვნინოთ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში მოწოდების შესაბამი-ად და საზოგადოების მოთხოვნების გეთვა-ლისწინებით.

კარგად რომ ასწავლო და აღზარდო, თვი-თონ მუდამ უნდა სწავლობდე, იღრმავებდე და იხვეწე პროფესიულ ცოდნას, პედაგო-გიურ ოსტატობას, იდეურ-თეორიულ მომზა-დებას. ღრმად და ხისტემატურად უნდა ეუ-ფლებოდე მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველ-მყოფელ მოძღვრებას, სამაგალითო და მსოფლიო პედაგოგიის მეცნიერების კლა-სიკურ მემკვიდრეობას, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს; უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებ-ლებმა უფრო აქტიურად უნდა გადაჭრან სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის მო-თხოვნებით წამოყენებული აქტუალური მეცნიერული და ტექნიკური პრობლემები, იყვნენ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული პროგრესის წინა ხაზზე.

თქვენს ყოველდღიურ მუშაობაში კვლავ-ც აამაღლოთ ყოველი გაკვეთილის, ყოველი ლექციის, ყოველი ლაბორატორიული და სემინარული მეცადინეობის ეფექტიანობა და ხარისხი, აიმაღლოთ ინტელექტუალური და კულტურული დონე, გაიფართო-ოთ სულიერი სამყარო, იყოთ მაღალი მოქალაქეობრიობის, პატრიოტობისა და ზნეობის, საკუთარი თავისადმი, თქვენი აღსაზრ-დელებისა და მათი მშობლებისადმი მომ-თხოვნელობის მაგალითი, თქვენი მოსწავ-ლეებისაგან აღზარდოთ ღირსეული ცალა, ოდნავაც კი არ გადაუხვიოთ კომუნისტური მორალის ნორმებს, სოციალისტური საერ-თო ცხოვრების წესს. მუდამ გახსოვდეთ, რომ თქვენი მოსწავლეებისათვის ხართ ხა-მაგალითონი და თქვენზეა დამოკიდებული, თუ რანი დადგებიან თქვენი აღსაზრდელნი.

ხაზოგადოებრიობის ფართო მონაწილე-ობა ახალგაზრდობის აღზრდაში საშუალე-ბას იძლევა განხორციელდეს სასწავლებლ-ების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელო-ვანესი პრინციპი, სახელდობრ კი ცხოვრ-ებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქ-ტიკასთან კავშირის განმტკიცება და დამკ-ვიდრება. ახალი სასწავლო წელი ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღებს რესპუბლიკის არა მარტო სკოლების, პროფტექნიკური სა-სწავლებლების, ტექნიკუმებისა და უმაღ-ლესი სასწავლებლების კარს, არამედ იგი შემოდის თითოეულ ბინაში, თითოეულ ოჯახში. შევმართავთ რა ყველა მშობელს, გვინდა მათი ყურადღება მივამყროთ იმას, თუ რა როლს ასრულებენ ახლა ახალგაზრდის პიროვნების ჩამოყა-ლიბების, თითოეულ ოჯახში მორალ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის რთულ პროცესში, თუ რაოდენ დიდი მნი-შვნელობა აქვს მშობლების პირად მაგა-ლითს, მათს შრომისმოყვარეობასა და კე-თილშობილებას, სიკეთეს, სიყვარულსა და მომთხოვნელობას შვილებთან და ერთმა-ნეთთან ურთიერთდამოკიდებულებაში.

მშობლებმა სწორად უნდა განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება სახლებლებ-ებისადმი, განსაკუთრებით სკოლისადმი, მას-წავლებლისა და აღმზრდელისადმი, იყვნენ პედაგოგების, დამრიგებლების აქტიური თა-ნაშემწეები. მხოლოდ ოჯახისა და სკოლის ასეთი მჭიდრო თანამეგობრობითა და თანამ-შრომლობით შეეძლებთ გადავწყვიტოთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა—ჩამოვაყა-ლიბოთ ყოველმხრივ განვითარებული ადა-მიანი, კომუნისტური საზოგადოების აქტი-ური მშენებელი, მაღალი მოქალაქეობრივი სიმწიფისა და კომუნისტური მორალის ადა-მიანი. ეს ამოცანა წარმატებით რომ გადაწ-ყვიტონ ,მშობლებმა უნდა შეისწავლონ პე-დაგოგიკის, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქო-ლოგიის საფუძვლები, ხოლო შრომითმა კო-ლექტივებმა უფრო მეტად უნდა განავითა-რონ შეფობა სკოლებისადმი, სხვა სასწავ-ლებლებისადმი.

რესპუბლიკის სასწავლებლების პარტიუ-ლი, კომკავშირული და პიონერული ორგა-ნიზაციები თავიანთი კოლექტივების მებრ-ძოლ ავანგარდად უნდა იქცნენ ღრმა, მტკი-ცე და მყარი ცოდნისათვის ბრძოლაში, თით-ოეული ქალიშვილი და ჭაბუკი აზიარონ კომუნისტური მომავლის მშენებლობის გზაზე მოპოვებულ საბჭოთა ხალხის დიად წარმატებებს.

სკკპ XXV ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ, სკკპ ცენტრა-ლური კომიტეტის მიერ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მიღებულმა ისტორიულმა დადგენილებებმა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, სკკპ ცენტრალურ-ი კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესა-ხებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელმა ზრუნვამ და ყუ-რადღებამ ქართველი ხალხის საკეთილდ-ღესადმი, რესპუბლიკაში ხელშემწყობი პო-ლიტიკური, ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პირობები შეუქმნა ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, რო-მლებიც პარტიამ დაგვიხასა ხახალხო განა-თლების დარგში. ახა, თქვენ იცით, ძვირ-ფასო ამხანაგებო!

გაუმარჯოს ჩვენს მოსწავლე და სტუ-დენტ ახალგაზრდობას — ჩვენს ცვლასა და ხიამაყეს, ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყ-ნის მომავალს! დაე იგი ღირსეულად იზრ-დებოდეს, იყოს ღონიერი და გამბედავი, გა-მრჯე და სულიერად მდიდარი, გამჭრიახი და დაუცხრომელი თავის ძიებებსა და შე-მართებაში, იყოს ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ნათელი იდე-ალების უსაზღვროდ ერთგული!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო | საქართველოს პროფსაბჭო | საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

500.000 ტონა ყურძენი—სამშობლოს მარანზე!

სახელმწიფოს მიეყიდება 55.000 ტონა ყურძენი

ქისრულობენ თელაველები

თელავის რაიონის კომუნისტებს ოქტომბრის საიუბილეო წელს დიდი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი. მევენახეობაში მომუშავე კომუ-ნისტების წინამძღოლობით მშრომელთა შორის პარტიულ-პოლიტი-კური მუშაობის გაძლიერებით ყველაფერი ისე კეთდება, რომ წლე-ვანდელი უამინდობით მიყენებული ხარალი რთველის ორგანიზებულად ჩატარებით ანაზღაურდეს.

რთველი ჯერს მოგვდგა, ვიდრე ყურძნის მასობრივი კრეფა გაჩაღ-ებოდეს, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა პირველ რიგში მოაწეს-რიგეს ღვინის ქარხნის დანადგარები, ელექტროხაზები, გზები, კავ-შირგაბმულობა. რთველის რაც შეიძლება მოკლე დროში ჩატარების უზრუნველსაყოფად დიდ საზოგადოებრივ მეურნეობებში შექმნილია შტაბები, რომლებსაც რაიკომის მიეროს წევრები ხელმძღვანელობენ.

გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში პარტიის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი და სოფლის მეურნეობის სამმართველო რთველის დროს მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმების დანერგვას. **რაიონში მევენახე ბრიგადების წა-ხალისების მიზნით ყოველდღე შეჯამდება მათი ნამუშევარი და გამარჯ-ვებულს გადაეცემა გარდამავალი დროშა და 50 მანეთი ფულადი პრემია.**

ადრე რაიონში ყურძნის მოსავლის აღება თვეზე მეტ ხანს გრძელ-დებოდა. უკანასკნელ წელს ასე როდია. წელს ანლეფებრად მოეწყობა მუშაობა, თუ ადრე ყურძნის კრეფაში ეიყენებდით წვრილმან ტარა-ჭურჭელს, ახლა მოკრეფილი ყურძენი პირდაპირ მანქანებში იყრება, ამ სამუშაოს მხლოდ მანქანის მძღოლი ასრულებს და შერჩეულია სპეციალური მანქანები. ეს ერთი, რაც ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ამასთან მოსავლის დანაკარგებიც ცოტაა.

შრომის საზღაური და დამატებითი ანაზღაურება დიდია. მანქანის მძღოლს შეუძლია დღეში 10-15 მანეთი გამოიმუშაოს.

უფრო გაუმჯობესდება ყურძნის კრეფისა და ტრანსპორტირების ორგანიზაცია. მოწინავე მეკრეფავს შესაძლებლობა ექნება დღეში 1.000 კილოგრამამდე ყურძენი მოკრიფოს. ცხადია, ყოველივე ეს იმის პირო-ბებს ქმნის, რომ რთველი უდანაკარგოდ, მოკლე ვადებში დამთავრ-დეს.

მზარს ვუჭერთ გურჯაანელთა თაოსნობას. თელაველებმა გადაწყვეტეს ნაიუბილეო წელს 53.500 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს შესყიდ-ონ 55.000 ტონა ყურძენი. ამასთან რთველი დაამთავრონ 10-12 ნა-მუშაო დღეში.

რაიონში საკარმიდამო ნაკვეთიდან ყურძნის დროულად და უდანა-კარგოდ მოკრეფისათვის სათანადო ღონისძიებებს ვეგარიცელებთ. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ 55.000 ტონა ყურძნიდან 12.300 ტონა, რაც საკარმიდამო ვენახებიდან იქნება, დროულად, უდანაკარ-გოდ მოკრეფილ[illegible]. ამისათვის გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, ყოველ ქარხანასთან შექმნილია საკონფლიქტო კომისია, სადაც მონა-წილეობენ ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი, ქარხნისა და კომკავში-რის ორგანიზაციის წარმომადგენელი. წონისა და ყურძნის შაქრიანო-ბის განსაზღვრის დროს თვითონ ყურძნის ჩამბარებელი ესწრება. ყო-ველივე ეს გაუგებრობას თავიდან აგვიცილებს.

ყურძნის მოსავლის აღებაზე ყოველდღე 10.000 კაცი იმუშავებს, ხოლო აღებული მოსავლის გადასამუშავებლად ქარხნებში გადაზიდვაზე 400 ავტომანქანა. ამით შესაძლებლობა გვექნება ყოველდღე სახელმ-წიფოს მიეყიდოს 2.980 ტონამდე ყურძენი.

წელს ვაზის მოვლის საქმეში კარგად იმუშაეს ცალკეულმა ნაზოგა-დოებრიებმა მეურნეობებმა და შედეგიც სასიხარულოა. მაგალითად, სანიორის კოლმეურნეობაში ისე მოეარეს ვაზს, რომ შესაძლებლობა აქვთ **4.500 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 5.000 ტონა ყუ-რძენი. რუისპირის კოლმეურნეობა 1.500 ტონის ნაცვლად მიმყიდის 1.800 ტონას, აკურის კოლმეურნეობა — 2.550 ტონის ნაცვლად 2.600 ტონას, ხოლო თელავის სახელმწიფო ხანერგე მეურნეობა — 1.800 ტონის ნაცვლად 2.300 ტონას.**

თელაველები ნაკისრ გეგმა-ვალდებულებათა შესასრულებლად გთ-რაკეებული ენერგიით იბრძოლებენ, მეათე ხუთწლედის მეორე წლის, დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლის დავალებებს პირნათლად შეას-რულებენ. ეს იქნება რაიონის კომუნისტების, ყველა მშრომელის პა-სუხი იმ ზრუნვაზე, რასაც მათზე ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ.

ა. კობაიძე,
საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი.

საოქტომბრო ვასტფაცია მთელი საბჭოეთი



საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერ-თიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოა, რო-მელიც ერების თანასწორუფლებიანი თვითგამორკვევისა და თა-ნასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკე-ბის ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად შეიქმნა.

სსრ კავშირი განასახიერებს საბჭოთა ხალხის სა-ხელმწიფო ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ერო-ვნებას კომუნიზმის ერთიანი მშენებლობის მიზნით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პრეამბულიდან.

ერთიან ძმურ ოჯახში

1. ტაჯიკეთი

დღეს გაბაცნობთ ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში აუვავდა და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლი-კად გადაიქცა.

დღეს ეს მთიანი მხარე მარტო თავისებური გეოგრაფიით როდია განთქმული, ძალიან დიდია რესპუბლიკის წარმა-ტებული ცხოვრების ყველა სფეროში. ტაჯიკმა ხალხმა სა-ხელოვანი ფურცელი ჩაწერა მოქმე საბჭოთა ხალხების ოჯახის მატიანეში. „მთების რესპუბლიკა“, რომელსაც ოქ-ტომბრის გამარჯვებამდე ლურსმანიც კი შემოაკონდა, შუა აზიის დიდი ინდუსტრიული რეგიონი გახდა.

ტაჯიკეთის მშრომელები საოქტომბრო დღესასწაულის შესახვედრად გაშლილი შეჯიბრების ავანგარდში არიან და ახალი ვალდებულებებით შეიარაღებული უტევენ მეათე ხუთწლედის ზღუდეებს.

იმის შესახებ თუ როგორია რესპუბლიკის მიერ განვლილი გზა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, და როგორ შრომობენ დღეს ტაჯიკეთის მშრომელები, მოგითხრობთ გაზეთის მეორე გვერდზე, რომლის მასალებიც მოამზადეს საკდესის კორესპონდენტებმა.

ტაჯიკეთის სსრ დედაქალაქი დუშანბე. საბჭოთა ხელისუფ-ლების წლებში იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამრეწველო და კულტურულ ცენტრად იქცა.

დედაქალაქში ფართოდ არის გაშლილი საბინაო მშენებლობა. ამ სურათზე ასახული პროსპექტიც, რომელიც ვ. ი. ლენინის სა-ხელობისაა, უკანასკნელ წლებში აშენდა.

ფ. კუზმინის და რ. პოზდნიაკოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

საკდესის ცნობა

„ვერტიკალ-5“

მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად 1977 წლის 30 აგვისტოს 5 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ტერიტორიიდან საშუალო განედებში 500 კილომეტრ სიმაღლეზე გაუშვეს გეოფიზიკური რაკეტა „ვერტიკალ-5“.

გეოფიზიკური რაკეტა „ვერტიკალ-5“ გათვალისწინებულია მზის გვირგვინის მოკლეტალღოვანი გამოსხივების, აგრეთვე მეტეორული ნაწილაკების კვლევისათვის.

100 კილომეტრ სიმაღლეზე რაკეტიდან გამოყოფილ მაღლივ ატმოსფეროზეგურ ზონდში დადგმულია რენტგენის სპექტრომეტრი, ფართო ზოლიანი ფოტომეტრი და მზის გამოსახულების მისაღები ხელსაწყო, რომლებიც დამზადებულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში, აგრეთვე მეტეორული ნაწილაკების სარეგისტრაციო აპარატურა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში დამზადდა.

ტრაექტორიის დაღმავალ მონაკვეთზე, ფრენის პროგრამის შესაბამისად, ზონდს გამოეყო საშველი კონტეინერი სამეცნიერო აპარატურითა და გაზომვის შედეგებით, რომელიც პარაშუტების სისტემის საშუალებით დაეშვა დედამიწაზე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტები მონაწილეობდნენ „ვერტიკალ-5“ რაკეტაზე დადგმული სამეცნიერო აპარატურის დამონტაჟებასა და გამოცდაში, აგრეთვე მის გაშვებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1977 წლის 30 აგვისტოს 77 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მუშაკი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1921 წლიდან

მიხეილ ყარამანის ძე ლომიძე

და ხამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მ. ყ. ლომიძის დაკრძალვისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა მთავრობის კომისია.

მ. ყ. ლომიძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს და ამასთანავე გამოთქვამს მოსაზრებებს მისი კიდევ უფრო სრულყოფისათვის.

1977 წლის 24 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ახალი კონსტიტუციის პროექტი, ერთი მხრივ, განზოგადოებს საბჭოთა ისტორიის მთელ კონსტიტუციურ გამოცდილებას და, მეორე მხრივ, ამდიდრებს ამ გამოცდილებას თანამედროვე ეპოქის მოთხოვნების შესაფერისი ახალი შინაარსით.

პროექტი ეყრდნობა აგრეთვე საბჭოთა კანონმდებლობის უკვე განხორციელებულ განჭხლებასა და სრულყოფას და თითქოს აკვირგვინებს იმას, რაც ამ მხრივ გაკეთდა. არა და, უკანასკნელ წლებში ძალზე ბევრი რამ გაკეთდა, ძალაში შევიდა სამართლის მეტი წილი უმნიშვნელოვანესი დარგების საკავშირო კანონმდებლობის საფუძვლები და რესპუბლიკური კოდექსები“.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს საბჭოთა კანონმდებლობა და აღმოიფხვრას დანაშაულებათა შემთხვევები, მთელ საზოგადოებრიობასთან ერთად, მიზანდასახულად, აქტიურად უნდა მოქმედებდნენ გამოძიებისა და მართლმსაჯულების ორგანოები და მათთან ერთად ადვოკატთა კოლეგიის წევრები, რომელთა უფლება-მოვალეობის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული ძირითადი კანონის პროექტში და რომელიც კონსტიტუციურად დაკანონდება ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საბჭოს მიერ მომდინარე წლის ოქტომბერში.

მოქალაქის დაცვის უფლება

ადმინისტრაციულ ორგანოებს საპატიო ადგილი უნდა ეჭიროთ სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვისათვის ბრძოლაში.

კონსტიტუციის პროექტის 157-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ბრალდებულებისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება“. საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებში ადვოკატები, იცავენ რა ბრალდებულთა და სამართალში მიცემულთა ინტერესებს, ვალდებული არიან კეთილსინდისიერად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი; ადვოკატები უფლებამოსილნი არიან ბრალდებულთა და სამართალში მიცემულთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება გამოიყენონ.

საბჭოთა ადვოკატი სოციალისტური კანონიერების დაცვისა და განმტკიცებისათვის მოწოდებული პირია, ამიტომ არ შეიძლება შემოიფარგლოს იგი იმით, რომ ასრულებდეს მხოლოდ მისი პირდაპირი პროფესიული მოვალეობის იმ ნაწილს, რაც ბრალდებულისა თუ სამართალში მიცემულის ინტერესების დაცვას შეეხება. ადვოკატი, წინასწარ გამოძიებასა თუ სასამართლო პროცესში რომ მონაწილეობს, უნდა ინიციატივიანი იყოს დანაშაულის წარმოშობის კონკრეტული მიზეზები და მიიღოს მასზე დამოკიდებული ზომები ამ მიზეზების ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად.

კონსტიტუციის პროექტის 160-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქენი უფასოდ იღებენ იურიდიულ დახმარებას“.

ადვოკატთა კოლეგიებს გარკვეული თვალსაზრისი წარმოადგენთ იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებაში, რაც მიმართულია საბჭოთა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ. შეშფოთების ეს მხარე კიდევ უფრო შესამჩნევად უნდა იქნეს გაუმჯობესებული.

ორ თვეზე მეტია, რაც მიმდინარეობს ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. ყველა საბჭოთა მოქალაქესთან ერთად მხურვალედ ვიწონებ რა კონსტიტუციის პროექტს, ამასთანავე გამოთქვამ ჩემს მოსაზრებას ზოგიერთ მუხლში შესწორებათა და დამატებათა შესახებ.

1. კონსტიტუციის პროექტის 21-ე თავის 163-ე მუხლში ნათქვამია: „ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, კოოპერატივებისა და სხვა საზოგადოებიური ორგანიზაციების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრებათ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს და მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს“.

ყველა სამინისტროზე, სახელმწიფო კომიტეტზე, ზოგიერთ უწყებაზე, საწარმოსა და დაწესებულებაზე უმაღლეს ზედამხედველობას გენერალურ პროკურორთან ერთად უფლებრივად ვერ განახორციელებს მისდამი (გენერალური პროკურორისადმი) დაქვემდებარებული ყველა პროკურორი, ამიტომ 163-ე მუხლის ის ბოლო ნაწილი, სადაც უმაღლეს ზედამხედველობაზია ლაპარაკი, უმჯობესი იქნება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრება გენერალურ პროკურორს, შესაბამის კომპეტენციათა ფარგლებში კი მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს“.**

2. კონსტიტუციის პროექტის 146-ე მუხლში ნათქვამია: „თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები კონტროლს უწევენ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობის დაცვას“. პროექტის 167-ე მუხლში კი აღნიშნულია, რომ „პროკურატურის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებას ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ და მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ემორჩილებიან“. საკითხის უფრო ნათელსაყოფად ვფიქრობ უმჯობესი იქნება 146-ე მუხლში, იქ, სადაც ადგილობრივი საბჭოების კონტროლის უფლებებზეა ლაპარაკი, გამოკვეთილად ჩანდეს და ჩაიწეროს: **„ვარდა პროკურატურის ორგანოებისა“.**

კონსტიტუციის პროექტის 157-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ბრალდებულებისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება“. უკვე მოქმედი კანონის თანახმად ბრალდებულად ესა თუ ის პირი მანამდე ითვლება, სანამ მის მიმართ გამოძიება წარმოებს და სანამ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის მიერ ბრალდებული სამართალში არ იქნება მიცემული. სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ თუ სამართალში მიცემულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნა დადგენილი, ასეთ პირს მსჯავრდებული ჰქვია, ამიტომ ვფიქრობ სწორი იქნებოდა აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად: **„ბრალდებულის, სამართალში მიცემულისა და მსჯავრდადებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება“.**

კონსტიტუციის პროექტის 160-ე მუხლში ჩაწერილია: „მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქენი უფასოდ იღებენ იურიდიულ დახმარებას“.

ადვოკატთა კოლეგიებს გარკვეული თვალსაზრისი წარმოადგენთ იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებაში, რაც მიმართულია საბჭოთა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ. შეშფოთების ეს მხარე კიდევ უფრო შესამჩნევად უნდა იქნეს გაუმჯობესებული.

ორ თვეზე მეტია, რაც მიმდინარეობს ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. ყველა საბჭოთა მოქალაქესთან ერთად მხურვალედ ვიწონებ რა კონსტიტუციის პროექტს, ამასთანავე გამოთქვამ ჩემს მოსაზრებას ზოგიერთ მუხლში შესწორებათა და დამატებათა შესახებ.

1. კონსტიტუციის პროექტის 21-ე თავის 163-ე მუხლში ნათქვამია: „ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, კოოპერატივებისა და სხვა საზოგადოებიური ორგანიზაციების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრებათ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს და მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს“.

ყველა სამინისტროზე, სახელმწიფო კომიტეტზე, ზოგიერთ უწყებაზე, საწარმოსა და დაწესებულებაზე უმაღლეს ზედამხედველობას გენერალურ პროკურორთან ერთად უფლებრივად ვერ განახორციელებს მისდამი (გენერალური პროკურორისადმი) დაქვემდებარებული ყველა პროკურორი, ამიტომ 163-ე მუხლის ის ბოლო ნაწილი, სადაც უმაღლეს ზედამხედველობაზია ლაპარაკი, უმჯობესი იქნება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრება გენერალურ პროკურორს, შესაბამის კომპეტენციათა ფარგლებში კი მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს“.**

2. კონსტიტუციის პროექტის 146-ე მუხლში ნათქვამია: „თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები კონტროლს უწევენ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების

ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲐᲩᲘᲜᲝᲡ

- ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲡ,
- ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ,
- ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო ფოსტა კონსტიტუციის პროექტის განხილვის დღეებში განსაკუთრებით რიცხვრავალია. სახელმწიფოს ძირითადი კანონის სრულყოფისათვის ზრუნვა სიერთო სახალხო საქმედ იქცა. ამ მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა მოვლენამ და ოქტომბრის სოციალისტიური რევოლუციის საიუბილეო სამზადისმა დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

კონსტიტუციით მონიჭებული მოქალაქეთა უფლებამოსილება ნათლად გამოსჭივის საარდაქციო ფოსტაში. კარგი მეურნის გულმოდგინეობით ეჩვიენ მშრომელები სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის განხილვაში, გეთავაზობენ თავიანთ მოსაზრებებს, გეზიარებენ წარმატებთა მიღწევის გამოცდილებას, ამხელენ ნაკლოვანებებს.

სოფელმა ჩვენ თვალწინ იცვალა სახე, — გვწერს ხაშურის რაიონის მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის აგრონომ-ინსპექტორი ბ. გურგენიძე, — კაჯი, თოხი და ბარი მძლავრმა ტრაქტორმა შეცვალა, დავიწყებას მიეცა ქვევრი, მისი ადგილი კომბაინმა დაიკავა. ასეთი ტექნიკა, ცხადია, თვეის სიტყვას ამბობს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. აგრონომი გეაკნობს რაიონში ბომბდარ სასიკეთო გარდაქმნებს, ომს, რომ შეიქმნა ალის მეეენახეობისა და ქვიმბერეთის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობები, ხაშურის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება. მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონსტიტუციის პროექტის განხილვისა და ოქტომბრის სახელოვანი იუბილეს დღეებში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებების შედეგად მოპოვებულ წარმატებებს. იწონებს რა კონსტიტუციის პროექტს, გეთავაზობს წინადადებას მიწის კანონმდებლობის მუხლის შემდგომი დახვეწის შესახებ.

კონსტიტუციის პროექტის განხილვას მიუძღვნეს თვეთანთი წერილები საგარეჯოელმა მეეენახემ ი. ესაიაშვილმა, მახარაძელმა ეეიანემ, შორმის წეთილი დროშის ორდენოსანმა მ. თოიძემ, ცხინვალის ელექტროფიკაციისა ქარხნის მექანიკური საამწყობო ქარხნის უბნის ოსტატმა ვ. ჩეხოვმა, ჭრიდაოს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ო. გელოვანმა და ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲢᲘ სხვამ.

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲫᲘ

ტყიბულელი ნ. ჯინჯიხაძე გვაცნობს ტყიბულის ქვანახშირის ცენტრალურ-გამამდიდრებელ ფაბრიკაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განხორციელებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებს. არაერთი გამამდიდრებელი აპარატურა შეიცვალა აქ. მოძველებული პირამიდული დამლექებს ნაცვლად ინერგება ჰიდროციკლონები, მკვიდრდება რაბდობისიტის სქემა. ფაბრიკა ახალ პროდუქციას გამოუშვებს. ეს ღონისძიებები დიდად შეუწყობს ხელს მეათე ხუთწლეულის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრას, — გვწერს ავტორი.

დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის თბილისის მეტროპოლიტენის მოწინავე ელექტრომექანიკოსი ა. ღლონტი თავის წერილში მეცხოველეობის საკვების ბაზის განმტკიცებასა და ახალი რეზერვების ძიების საკითხს ეხება. მისი აზრით, ქალაქში ამ მხრივ ამოუწურავი რეზერვი მოიძებნება. მოსახლეობა სანაგვე უთში დაუდევრად ყრის პურისა და ბოსტნეულის ნარჩენებს, ხაზამთრობა და ნესვის ქერქებს, რაც პირუტყვის საკვებად გამოდგებოდა. თუ ნარჩენების შეგროვებას რომელიმე შესაბამისი ორგანიზაცია ითავებდა, მოსახლეობა დაუზარებლად შეუწყობდა ხელს პირუტყვის საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

ასეთი და სხვა საინტერესო, საზოგადოებრივად სასარგებლო წინადადებები ყოველდღიურად მოდის რედაქციაში.

ფოსტაში ვხვდებით სხვა ხასიათის წერილებსაც, რომელთა ავტორები ნაკლოვანებებს ამხელენ. ონის რაიონის სოფელ უწერის მკვიდრი ბ. მეტრეველი მოითხოვს მეტი ყურადღება დაეთმოს მთიანი რაიონების სოფლების კულტურული ცხოვრების ორგანიზებულ საკითხს. „ᲙᲣᲠᲜᲘᲚᲘ ᲣᲬᲔᲠᲘᲡᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲕᲔᲚᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲔ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲣᲩᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

ᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲔᲠᲫᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ. ᲛᲔᲠᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ.

ქალაქ თელავის სურათების გალერეის დარბაზებში

ძვნად საშობლოს

ქეთევან იაშვილის კეთილი მაგალითი



ამ ცოტა ხნის წინათ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომლის თანახმად სახვითი ხელოვნების ძვირფას ნაწარმოებთა საკუთარი კოლექციის საფუძველზე ქ. თელავში სამხატვრო გალერეის ორგანიზაციის პატრიოტული თაოსნობისათვის ქეთევან მერაბის ასული იაშვილი პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდა. ქვემოთ ვბეჭდავთ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის შუა ჯაფარიძისა და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილის ვასილ კანდელაკის წერილებს, რომლებშიც ლაპარაკია ქეთევან იაშვილის ამ უანგარო, პატრიოტულ თაოსნობაზე და მის კოლექციაზე, ამჟამად ახლადგახსნილ თელავის სურათების გალერეის ექსპოზიციას. რომ ამშვენებს.





სურათებზე: თელავის სურათების გალერეის ექსპონატები ქ. იაშვილისეული კოლექციიდან, ზემოდან ქვემოთ — ელენე ახვლედიანის — „ძველი თელავი“, ბუნინის „ცხვრის“ ფარა“, კლოდტის „ლუდოვიკო XVII ტყვედ იაკობინელებთან“, დიურერის „ბეიზაძე“.

სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — ქ. თელავის სურათების გალერეის საერთო ხედი; მხატვარ გ. ჯაფის ნამუშევარი „ქეთევან იაშვილის პორტრეტი“; ერთ-ერთი დარბაზი, სადაც გამოფენილია ქ. იაშვილისეული კოლექციის ექსპონატები;



მამულიშვილური გრძნობით

როცა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა ქეთევან იაშვილისეულ კოლექციაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჩვენი სახელოვანი მხატვრის გიგო გაბაშვილის „ალვერდობა“, „ნატურმორტი“, „აღმოსავლური ბაზარი“, კ. ბაკურაძის სკულპტურული პორტრეტები — „რფიელ ერისთავი“, „ბარბარე ჯორჯაძე“, „იოსებ ჯორჯიაშვილი“, „ქეთევან იაშვილი“, ა. მ. თარხნიშვილის ქანდაკება „გიორგი საკაძე“, ი. თოიძის „ქალის პორტრეტი“, ელენე საყვარელიძის „სახლი მთაში“ და სხვ.

გალერეის ექსპოზიციას ამშვენებს დიდი სითბოთი და მაღალი ოსტატობით შესრულებული ორი პორტრეტი — ე. მაყაშვილის „ქეთევან იაშვილი“ (ახალგაზრდობისას) და გ. ჯიშის „ქეთევან იაშვილის პორტრეტი“, რომელზეც ის უკვე ხანში შესული, მაგრამ მომხიბვლელობით აღსავსე არის დახატული.

გალერეის ექსპოზიციაშია მხატვარ ს. კენჭაძის დიდი ტილო, რომელზეც აღბეჭდილია ქეთევან იაშვილის მიერ სურათების გადაცემა ქალაქ თელავისათვის 1963 წელს. ამ სურათის შინაარსით და იმ ადგილით, რომელიც მისთვის განკუთვნილია კოლექციის საერთო ექსპოზიციაში, გამოიხატა მადლიერი თელაველების დიდი სიყვარული და პატივისცემა საპატიო თანამოქალაქის ქეთევან იაშვილის მიმართ.

იაშვილის კოლექციის ძირითადი ნაწილი მიეკუთვნება რუსულ ხელოვნებას და წარმოდგენილია ისეთი დიდი რუსი მხატვრების ნამუშევრებით როგორიც არიან ი. ნ. კრამსკოი, მ. კ. კლოდტი, კონსტანტინე მაკოვსკი, ვ. ლენოვი, ი. ი. კლევერი, ფრანც რუბო, ვლადიმერ მაკოვსკი, ფ. ბრუნი და სხვანი, დიდი ადგილი უჭირავს დასავლეთევროპელ ოსტატებს — ჰოლანდიისა და იტალიის XVIII-XIX სს. მხატვრებს.

განსაკუთრებული ადგილი ეთმობა გამოყენებით ხელოვნებას. ამ ექსპონატებს შორის არის შესანიშნავი მინიატურა სპილოს ძვალზე, აღმოსავლური ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებები, ძველი დასავლური ავეჯი, გობელენი და სხვ.

ქეთევან იაშვილმა ამ უკანასკნელი თოთხმეტი წლის განმავლობაში ხუთჯერ გადასცა თელავის მუზეუმს თავისი კოლექციის უმეტესი ნაწილი: 1963 წელს — 65 ექსპონატი, 1965 წელს — 4, 1968 წელს — 40, 1973 წელს — 47 და 1975 წელს — 6. სულ კი 162 ექსპონატი.

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექციამ, რომელსაც ეკუთვნის თელავის სურათების გალერეა, დიდი შრომა გასწია ამ გალერეის შესაქმნელად. ექსპოზიცია შესრულებულია სამუზეუმო საქმის დიდი ცოდნით, სურათების განლაგება კარგად არის მოფიქრებული, რაც, უდავოდ, მუზეუმის დირექტორის ო. ჭიჭოშვილისა და მუზეუმის მთელი კოლექტივის დამსახურება და დიდი გამჯრეტელობა.

ვ. კანდელაკი,
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე, მხატვარი.

ნ. მუსხელიშვილის სახელობის ქ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის ასისტენტები სიგნენბში — „მეცნიერული კომუნიზმი“ — 2 საშტატო ერთეული, „მეცნიერული ათეიზმი“ — 1 საშტატო ერთეული, „მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა“ — 1 საშტატო ერთეული.

ზანძარი არ გაჩენილა, მაგრამ...

სასამართლოს დარბაზიდან

ამჯერად ხანძარი არ გაჩენილა, ზარალი არ ყოფილა, მაგრამ კანონის დამრღვევი მაინც მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. დამნაშავეს შეეფარდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ხასიათისაა.

კასპის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების სამეურნეო მაღაზიაში (გამგე-გამყიდველი — ს. ჭარქუთაშვილი) სახანძრო ინსპექციის მუშაკებმა ჯერ კიდევ ვასული წლის 9 თებერვალს შეამოწმეს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის მდგომარეობა. აღმოაჩინეს დარღვევები, შეადგინეს აქტი და ს. ჭარქუთაშვილი დააჯარიმეს 20 მანეთით.

მოსალოდნელი იყო, რომ მაღაზიის გამგე სათანადო დასკვნას გამოიტანდა გაფრთხილებიდან და ადმინისტრაციული სასჯელიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. როცა აღნიშნული მაღაზია კვლავ შეამოწმეს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის მხრივ, გამოირკვა, რომ არც ერთი წინათ გამოვლენილი დარღვევა გამოსწორებული არ ყოფილა. ეს კი ნიშნავდა, რომ იყო ხანძრის გაჩენის რეალური საფრთხე.

ამას წინათ რაიონის სასალხო სასამართლომ (თავმჯდომარე — ვ. თარხნიშვილი) გამსჯელო სესიაზე სახელმწიფო ბრალმდებლის გ. ტყეშელაშვილისა და საზოგადოებრივი ბრალმდებლის რ. ბაინდურაშვილის მონაწილეობით განიხილა აღნიშნული საქმე და ს. ჭარქუთაშვილს სათანადო სასჯელი შეუფარდა.

მ. სულხანიშვილი
რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების ინსპექტორი.

ფეხბურთი

ორი ქულა კუიბიშევში

გუშინ კუიბიშევში „მეტალურგის“ სტადიონზე „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის აუტსაიდერი „კრილია სოვეტოვი“ მასპინძლობდა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს თბილისის „დინამოს“. მასპინძელთათვის, შეიძლება ითქვას, ეს პრესტიჟის მატჩი უფრო იყო, ორივემ მათ უშუალოდ ემუქრებათ ბოლო ადგილი და უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე.

თბილისელები მოედანზე თითქმის ისეთივე შემადგენლობით გამოვიდნენ, როგორც წინა მატჩში, ლენინგრადში — გაბელია, კოსტავა, ქანთელაძე, ხიზანიშვილი, მოჯარი, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, ქორთიე, გუცალავი, ყიფიანი, შენგელია (აქვე დავძენთ, რომ კოპალეიშვილი ჯერ ჩივაძემ შეცვალა, ხოლო შემდეგ ხიგაძე — ჩელებაძემ).

ანგარიშში თბილისელებმა გახსნეს, შენგელიას დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა — 1:0. ვოლგისპირელები შემდეგ ბევრს ეცადნენ გარდატეხა შეეტანათ თამაშში, ხშირადაც უტევდნენ, მაგრამ სტუმართა კარისათვის რეალური საფრთხის შექმნა ვერ იქნა და ვერ შეძლეს. თბილისელთა დაცვა საიმედოდ და დინჯად მოქმედებდა. პირიქით, სტუმრებმა ხელიდან გაუშვეს ბოლოს ვატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა — ჩინებულად ითამაშა მეკარე ლოგინოვმა.

წინა დღით გაიმართა ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა, რომელიც ძალიან კეთილად ჩაატარეს სტუმრებმა, წაგება დიდი ანგარიშით — 1:5.

გთავაზობთ ხვეა მატჩების ანგარიშებსაც.

„შახტიორი“-„დინამო“ კ. — 0:0
„დინამო“ მ.-„ნეფტჩი“ — 2:1
„ზენიტი“-„არარატი“ — 4:1
„კარპატი“-„დნეპრი“ — 1:0
„ჩერნომორეცი“-„ტორპედო“ — 0:0
„ზარია“-„ლოკომოტივი“ — 1:0

ავარია მოხდა, მიზეზი?

ნევიმაში, გაღაჭარბებული სიჩქარით

კვირას წამოწვიმა. ამ დროს მეტი სიფრთხილე მართებს ავტომძღოლს. მცირეოდენი დაუკვირვებლობა, სიხჭარის ოდნავი გადაჭარბება და...

რუსთავის სასწრაფო დახმარების გარაჟის მუშა ალექსანდრე აბულაძე „საკუთარი „ეიგულით“ ცოლმეილიანად მშობლიურ სოფელ ჩხარში იყო წასული ახლობლებთან. მან თერჯოლის რაიონიდან უხიფათოდ მიაღწია თითქმის რუსთავამდე, მაგრამ... თბილისი-რუსთავის გზატეხილის მეთხუთმეტე კილომეტრზე გადაჭარბებული სიჩქარით გაჭრილებული ძანქანა მოსველებულ გზაზე მოუცურდა, გადავიდა მოძრაობის საპირისპირო მხარეს და სატვირთო ავტომობილს შეასკდა. თვით მძღოლი ა. აბულაძე, ცოლი და ორი შვილი ადგილზევე გარდაიცვალნენ.

ამავე დღეს ნევმითი მოსველებულ გზებზე ასევე გადაჭარბებული სიჩქარით მართავდნენ ავტომობილებს. სხვა მძღოლებიც. ყვარელ-ნაფარეულის გზაზე გადაბრუნდა თელავის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც მძღოლი დავით გაბრიელაძილი მართავდა. ავარიის ადგილზევე გარდაიცვალა ავტომანქანაში მჯდომი თელავის მარმარილოს ქარხნის მუშა დარჩო ბეჟუანაშვილი.

უბედურება დატრიალდა თბილისს-კახეთის გზაზე სოფელ მელაანთან. საკუთარ „ეიგულს“ მოსველებულ გზაზე გადაჭარბებული სიჩქარით მიაქროლებდა თბილისის სისხლის გადასხმის ინსტიტუტის მძღოლი მოთა ჭიქაძე. სატვირთო ავტომობილი და „ეიგული“ ერთმანეთს შეეჯახნენ. შ. ჭიკაძე და მისი ორი მგზავრი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ერთი — მძიმედ დაშავდა.

ამავე მიზეზით ავტოავარიები მოხდა და ადამიანები მძიმედ დაშავდნენ თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, ქალაქ რუსთავში, თეთრი წყაროსა და გარდაბნის რაიონებში.

კვირას ჩვენს რესპუბლიკაში თორმეტი მძიმე ავტოავარია მოხდა, რის გამოც ცამეტი ადამიანი გარდაიცვალა და თვრამეტი მძიმედ დაშავდა.

ბ. ლელაძე.

კალათბურთი

თბილისის „დინამო“ — ჩემპიონი

ნოვოსიბირსკში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ტალინის, თბილისის, ჩელიაბინსკისა და ნოვოსიბირსკის გოგონა გუნდები. თბილისის დინამოელებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ. მეტად დაძაბული გამოდგა უკანასკნელი მატჩი მოსკოველ თანაკლუბელებთან. 88:87 გაიმარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა. ამ თამაშში ყველაზე მეტი ქულა — 28 თბილისელებს ალექსანდრე პეტლავასკომ შესძინა. საუკეთესო დაცველად თამაზ ჩიხლაძე აღიარეს.

გუშინ დინამოელები თბილისში დაბრუნდნენ და მზადებას შეუდგნენ ჩეხოსლოვაკიაში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. თბილისის დინამოელებმა ამ ტურნირში მარშან გაიმარჯვეს. ტურნირი 12 სექტემბერს დაიწყება.

ფეხბურთი

„ოქროც“ და „ჰერცხლიც“

სან-კრისტოვალი (ვენესუელა). მსოფლიო ჩემპიონატზე ქალებმა ორი ოქროს მედალი გაითამაშეს და ორივე საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. ამჯერად პირველი იყო ლენინგრადელი ვერა კუზნეცოვა — სამ კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში. მან 6 წამზე მეტი მოუგო მეორე პრიზიორს ჰოლანდიელ ანა რიემერსმას. ბრინჯაო დაიმსახურა კახადელმა კარენ სტრონგმა.

ამ დღეს პირველი ჯილდოები — ვერცხლის medlebi მიიღეს ჩვენი გუნდის ვაჟებმაც — მოსკოველმა ალექსანდრე ვორონინმა და ლენინგრადელმა ვლადიმერ სემენეცმა ტანდემებით ასპარეზობაში.

გამოდევნებით გუნდურ რბოლაში საბჭოთა სპორტსმენების კვარტეტმა გზა გაიკვლია უძლიერეს ოთხეულში და საპრიზო ადგილისათვის განაგრძობს ბრძოლას.

ფეხბურთი

ოქროს ბურთი

ჭადრაკის დაფებთან

კვირას გაიმართა გაზეთ „ჩერნოეა მოსკოვას“ ტრადიციული ტურნირი ელვისებურ თამაშში. იგი ყოველწლიურად იმართება და, როგორც წესი, დიდ ინტერესს იწვევს. მასში მოსკოველების გარდა, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. ამჯერად მას სტუდენტთა საერთაშორისო ოლიმპიადის (რომელიც ამ დღეებში დამთავრდა მეხიკოში) მონაწილეებმაც ჩამოუსწრეს.

ტურნირში პირველი ბრიზი დაიმსახურა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა (რიგა), რომელსაც გადაეცა მთავარი ჯილდო.

პოლიანიცა-ზდრუი ი (ბოლონეთი) დამთავრდა აკიბა რუბინშტეინის მემორიალი, რომელიც აქ ყოველწლიურად იმართება. მასში 9 დიდოსტატი და ამდენივე ოსტატი მონაწილეობდა.

შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, 17 თამაშიდან 12 ქულით პირველი გავიდა დარჩა ცნობილ დიდოსტატ ჰორტს (ჩეხოსლოვაკია). შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატები — კუზმინი 11,5 ქულით მეორე ადგილზეა, გულკო 10,5 ქულით — მესამეზე.

მეორე ლიგაში

ბაიმართა მეორე ლიგის ჩემპიონატის მორიგი მატჩები ფეხბურთში. აი როგორ ითამაშეს ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა: ბაკოს „ავტომობილისტი“-ზუგდიდის „დინამო“ — 2:2, ერეკლის „სკ�დი“-გორის „ფილა“ — 4:0, ნახშირის „ორახი“-ბათუმის „დინამო“ — 2:2, სოხუმის „დინამო“-უფის „გასტელო“ — 3:2, სამტრედიის „ლოკომოტივი“-ნაბეღლავის ჩელნის „ტურბინა“ — 2:0, ლანჩხუთის „გურია“-ტოლიატის „ტორპედო“ — 5:1.

16 ბიჭუნა, 20 ქუ და მსოფლიოს ჩემპიონი

„ლონდონში რუს სტუმარს სასტუმროს გაკეთილი ნოემერში შეუტია ათმა ინგლისელმა მოხარდმა, ოცმა კუთ და მეფეების ჯგუფმა“. ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი ახატოლ კარპოვი ერთდროული თამაშის სეანსში ცდიდა 17 წლამდე ასაკის ათ ინგლისელ საუკეთესო მოჭადრაკეს“. როგორც საკდესის კორესპონდენტი იტყობინება, ასე იწყება ამ შეხვედრის ანგარიში, რომელიც ლონდონის „გაზეთ „ტაიმსში“ გამოქვეყნდა.

კარპოვი პრაქტიკულად დაუმარცხებელი აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც 1975 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, როცა ბობი ფიშერი მატჩზე არ გამოცხადდა. ამ ხნის განმავლობაში მან თეთრმეტი ტურნირიდან გაიმარჯვა ცხრაში — უპრეცედენტო შემთხვევა ჩემპიონებისათვის.

მისი მეტოქეები შეარჩიეს ინგლისში აღზრდილი იუნიორების ბრწყინვალე თაობიდან. ოთხმა მათგანმა უფლება მოიპოვა მონაწილობა მიიღოს მოზრდილთა ჩემპიონატში. ისინი კარპოვს ეთამაშებოდნენ ფინალური შეხვედრებისაგან თავისუფალ დღეს.

ბრაიან უოლდენმა — პარლამენტის ყოფილმა წევრმა-ლეიბორისტმა, რომელიც თვითონ იყო თავის დროზე ჩემპიონი იუნიორთა შორის, — სასტუმრო „ლონდონრის“ დახუთულ ნომერში რომ ეს სეანსი გახსნა, კარპოვს აღუთქვა, გაგიჭირდებაო. მაგრამ ჩემპიონმა სეანსში გაიმარჯვა ანგარიშით 9,5:0,5.

ლეონარდ ბარდენმა — „ივნინგ სტანდარდის“ საჭადრაკო მეთმეხილველმა — ინგლისელ ბავშვებს უამბო კარპოვის ამსაწინანდელი ტურნირების ამბავი და განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სიცილიური დაცვის კარპოვისეულ მრისხანე ვარიანტზე და ეროვნულ მწვრთნელთან რობერტ უედთან ერთად მოილაპარაკა თუ რა სტრატეგიას დასდგომოდნენ.

„მე დავიბენი, — თქვა უეიდმა, — როცა დეხიელ კინგი (იგი 13 წლისაა) შემეკითხა, რას გაკეთებს კარპოვი „პელიკანის“ ვარიანტის პასუხადო. ეს ვარიანტი განსაკუთრებით იქნა განალიზებული საბჭოთა კავშირის სწორედ იმ რაიონში, რომლის მკვიდრიც კარპოვია — ურალში. მე, მაგალითად, რისკს არ გავწევდი“.

როცა სეანსი დაიწყო, კარპოვი ერთადერთი დიხა დადამიანი აღმოჩნდა ოთახში. მან ისე სწრაფად გაკეთა რამდენიმე სვლა ყველა დაფაზე, რომ შესაძლებლობა მიეცა ჩამომჯდარიყო და დაესვენა, სანამ მეტოქეები მორიგ სვლას მოიფიქრებდნენ.

ნაიჯელ შორტმა, 12 წლიანმა შორის მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკემ, რომელიც პირველ დაფაზე თამაშობდა, ძორის გამბიტი აირჩია, რომლითაც მან ადრე ძლიერი მოჭადრაკე ჯონათან პენროუსი დამარცხა. შესაძლოა, თავისი ცოდნა რომ ეჩვენებინა, იგი დროდადრო ჩახედავდა ხოლმე ჟურნალ „სოვიეტ უიკლში“ გამოქვეყნებულ საჭადრაკო წერილში.

მან 59 სვლა გაკეთა, სანამ დაკარგავდა ყიმის იმედს, თუმცა თავის თანატოლებთან შედარებით ნსოფლიოს ჩემპიონი ითვლება დიდხანს ეფიქრა ერთ-ერთ სვლაზე, ვიდრე კარპოვი სავარაუდოს ძოიჩიჩებდა და ნამოჯდებოდა.

ამასობაში კი მსოფლიოს ჩემპიონმა 24-ე სვლაზე ყიმი შესთავაზა 16 წლის ტონი უილიამსს.

უილიამსმა, რომელმაც ინგლისური დასაწყისი აირჩია, იგრძნო, რომ მას მცირე უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ, ეტყობა, იმასაც მიხვდა, ცოდნა და გამოცდილება არ ეყოფოდა ამ უპირატესობის შესანარჩუნებლად. სპეციალისტთა აზრით იგი ჭკვიანურად მოქცა, როცა ყიმისათვის დაიწყო თამაში. ამ შედეგმა მას „ლიდის“ ბანის პრემია არგუნა დღის საუკეთესო პარტიისათვის.

გაზეთმა „გარდიანმა“ თავის ინგარიშში ამ შეხვედრის შესახებ დაწერა: „...კარპოვმა პრემია მიანიჭა ტონი უილიამსს საუკეთესო პარტიისათვის. უილიამსმა ძალიან ზუსტად გაითამაშა ინგლისური დასაწყისი და კარპოვმა ვერ იქნა და ვერ შეძლო ინიციატივა წაერთმია მისთვის.

ნაიჯელ შორტმა, 12 წლის გენერალმა, დებიუტში პაიკი შესწირა, მაგრამ კომპენსაცია ეეღირ მიიღო და 59-ე სვლაზე დანებდა როცა კარპოვმა ლაზიერად გაიკვანა თავისი პაიკი“.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ჟურნალების ახალი ნომრები

„ეკონომისტი“ № 8

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „ეკონომისტის“ მერვე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მოწინავე წერილით — ვიმუშაოთ უკეთ, უფრო ეფექტიანად, მაქსიმალური ნაყოფიერებით.

რუბრიკით „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავისათვის — ჟურნალი ბეჭდავს ფ. სანაკოევისა და შ. ნოზაძის სტატიებს — „დიდი აღმშენებლობის გზით“ და „საზღვარგარეთის ქვეყნებთან საბჭოთა საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარება“.

ჟურნალის ახალ ნომერში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მასალებს, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვას ეძღვნება. „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი კანონის პროექტი“ — ამ რუბრიკით ჟურნალში გამოქვეყნებულია ნ. ტყეშელაშვილის, დ. თოფურიას, ვ. ბერიძის წერილები.

ჟურნალის ახალ ნომერს აქვს განყოფილებები: „წელი ხაიუბალეო: პრობლემები, რეზერვები, პერსპექტივები“, „მართვა და დაგეგმვა“, „წერილები და კომენტარები“, „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“, „ინფორმაცია“.

„საბჭოთა ხელოვნება“ № 8

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ აგვისტოს ნომერში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, მკითხველი ბევრ საყურადღებო მასალას გაიცნობ.

ნომერი იხსნება ვრცელი მოწინავე წერილით „ეიმუნისტური საზოგადოების მშენებელთა ახალი კონსტიტუციის პროექტი“. ნ. გურაბანიძის წერილში „გამარჯვების გრძელი გზა“ ლაპარაკია დასავლეთ გერმანიასა და მექსიკაში რუსთაველის თეატრის გასტროლებზე, გ. ორჯონიკიძე მიმოიხილავს თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებას, ხოლო მ. ახმეტელი — ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის პირველ კონცერტს.

საინტერესოა წერილები და სტატიები — მ. კოკოჩაშვილის „ახალგაზრდების შემოქმედება“, ნ. მამისაშვილის „ახალი კამერული ორკესტრი“, ნ. ფეიგიძის „გიორგი ხარაბაძე“, თ. ჩხენკელის, „ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა“ და სხვა მასალები.

ჟურნალი ბეჭდავს ისაკა ბაბელის პიესა „ბარიას“ (შესავალი წერილი და თარგმანი რ. კვაჭანტირაძისა) და მრავალფეროვან ქრონიკას.

ქურნალ-გაზეთების ხელმოწერის შესახებ

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს „სოიუზპეჩატის“ მთავარი სამმართველო იუწყება, რომ 1978 წლის აგვისტო ჟურნალ-გაზეთზე ხელმოწერა იწყრმოებს 1977 წლის 1 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე. (საკდესი).

 კომუნისტი — ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380008 თბილისი-96 ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებმა—99-93-03. 99-03-09 პ/მგ მდივნის — 99-72-80. სამდივნოსი — 99 66 10 განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. ეკონომიკა — 93-22-93. პროფსაბჭოებისა — 93-20-34. სოფლის მეურნეობის — 99-52-46. საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-07. ინფორმაციის — 93-16-90. უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 02260 საქ. კპ ცკ-ის კომოკავშირის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ტელევიზია

31 აგვისტო
პირველი პროგრამით

10.30 — „სახლი სამოტიოკზე“ თოჯინების სახელმწიფო თეატრის ფილმი-სპექტაკლი (ფერადი, მოსკოვიდან), 11.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „ბავშვობის უკანასკნელი ზაფხული“. მესამე სერია (ფერადი, მოსკოვიდან), 15.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მადნეულის სპილენძი“. საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები. პრემიერა (მოსკოვიდან), 15.45 — კონცერტი, 16.30 — მუტატიპლიკაციური ფილმი, 17.10 — კინონარკვეი, 17.20 — მოსწავლეთათვის. ილია ჭავჭავაძე — „ბავშვობა და ყრმობა“ (ბადაცემა პირველი), 17.50 — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის — „დეპუტატი და ცხოვრება“ (დუშეთის რაიონი), 18.25 — ქართული ფერადი დოკუმენტური ფილმი „ბასკების ქვეყანაში“, 19.15 — უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით (სტუდიაში სსრ კავშირის უმაღლესი და სამუალო სპეციალური განათლების მინისტრი ვ. ვ. ელიუტინი. (ფერადი, მოსკოვიდან), 19,45 — „მოძმე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — კონცერტი — მასწავლებლთა თხოვნით, 20.50 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „რკალრდი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ქალთა მსოფლიო პირველობა ჭადრაკში — მ. ჩიბურდანიძე — ე. ახმილოვსკაია. (ნახევარფინალი), 22.40—„ დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის — მომმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება“ (ესტონეთი).

მეორე პროგრამით

18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები — „ციმბირის ხამხრეთით არის ერთი მიწა“, „მზიური ველის ქალაქი“, „ლოტოსები ხილარზე“ (ფერადი), 19.00 — „განცხადებები, 19.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „სამოთხის გასაღები“.

რადიო

1 სექტემბერი
პირველი პროგრამით

08.32 — კონცერტი „მშობლიური ციხ ქვეშ“ — სიმღერები საბჭოთა საქართველოზე, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მღერის ლ. ჭყონია, 10.00 — ეენტრალური გაზეთების ფურცლებზე. (მოსკოვიდან), 11.05 — „სიმღერა გულისა“ — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები სამშობლოზე, პატრიასა და ლენინზე, 13.40 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 14.00 — ს. ანტონოვი — „სახელმწიფო ჯერნი“ რადიოდადგმა, 14.20 — საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 17.20 —ჩვენი ცხოვრების კანონი—მიკროფონთან აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე), 17.35 — მოსწავლეთათვის — მღერის ანსამბლი „მზიური“, 18.10 —კონცერტი „საბჭოთა ეკრანის მელოდიები“, 18.45—უკრაინული სალხური სიმღერები, 19.00—საუბარი „ერთიანი, მძლავრი“, — ავტორი პროფესორი ვ. მერკვილაძე, 19.20—ტ. ბაკრაძე — კანტატა „მიყვარს მამული“, 20.30 — დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფალო! — მომმე რესპუბლიკების პოეტთა ლექსები, 21.00 — ძიელისპირული, 21.15 — კ. ლორთქიფანიძე — „ჩემი პირველი ჰომკავშირელი“, რადიოდადგმა, 22.10 — კონცერტ „ჰიმნი სამშობლოს“, 23.30 — მღერის ნ. ბრეგვაძე.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(ავ. წერეთლის პროსპ. № 2)
2 და 3 სექტემბერი
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა — უმაღლესი ლიგა
„დინამო“ (თბილისი) — „კაირატი“ (ალმა-ატა)
2 სექტემბერს — სათადარიგო შემადგენლობა
დასაწყისი 19 საათზე.
3 სექტემბერს — ძირითადი შემადგენლობა
დასაწყისი 20 საათზე.
ბილეთების საერთო გაყიდვა სტადიონის სალარაოებში 3 სექტემბრის დილის 10 საათიდან.